# „კამელინ მ 4“ – უნივერსალური სამკურნალო სანთლები

**„კამელინის“ ბაზაზე დამზადებულ სანთლების „კამელინ მ4“-ის შექმნას წინ უძღოდა წინაკლინიკური გამოკვლევები როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში. „კამელინ მ 4“-ს გააჩნია მრავალმხრივი მოქმედების უნარი რექტალურ-ვაგინალური მოხმარებისთვის. წამლის ეს ფორმა მოხმარებისთვის ძალიან მარტივი და უმტკივნეულოა. „კამელინ მ 4“ გამოიყენება ქალური დაავადებების, ვაგინალური ინფექციების, საშვილოსნოს ყელის ეროზიების, ორსულებში ანთებითი პროცესების და ბუასილის მკურნალობაში. გვესაუბრება საპატრიარქოს, წმინდა ანას და იოაკიმეს სამშობიარო სახლის, ორსულთა პათოლოგიის განყოფილების გამგე დავით ლანდია.**

– დადასტურებულია რა პრეპარატ „კამელინის“ ანთების საწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტური, ანტიმიკრობული, იმუნომოდულატორული თვისებები, 2009 წელს „იმედის კლინიკაში“ ჩემი ხელმძღვანელობით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ „კამელინ მ 4“ -ის გამოყენება ორსულებში გინეკოლოგიური ანთებითი პროცესების და ბუასილის სამკურნალოდ. სანთლები გამოიცადა 500-ზე მეტ ორსულსა და მელოგინეზე. ვაწარმოებდით მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ ნაცხების მიკროსკოპიულ კვლევას, რომლის საფუძველზეც „კამელინ მ 4“-ის დადებითი მოქმედება ლეიკოციტებზე, ასევე გრამ პლუს და გრამ მინუს ჩხირებზე აშკარა იყო. „კამელინის“ ხსნარით კი ვაწარმოებდით პოსტოპერაციული (გინეკოლოგიური და საკეისრო) ჭრილობების დამუშავებას. აქაც პრეპარატმა გამოავლინა რეგენერაციის მაღალი უნარი, „კამელინმა“ ხელი შეუწყო შეხორცებითი პროცესების დაჩქარებას ყოველგვარი გართულებების გარეშე.

**– ბატონო დავით, „კამელინი მ 4“ ძალზე ეფექტური აღმოჩნდა ორსულებში ბუასილის დროს...**

-ბუასილი ორსულებში, განსაკუთრებით უკანასკნელ ტრიმესტრში, ძალზე ხშირია. მოგეხსენებათ, ორსულებისთვის მედიკამენტების მიღება შეზღუდულია. „კამელი მ 4“ -მა გამოავლინა არაჩვეულებრივი სამკურნალო ეფექტი, 3-4 პროცედურა საკმარისი აღმოჩნდა უსიამოვნო სიმპტომების სრულიად გასაქრობად, ორსულები აღარ უჩიოდნენ ბუასილისგან გამოწვეულ სიმპტომებს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „კამელინის“ სანთლებს არავითარი უკუჩვენება არ გამოუვლენია. კვლევაში ჩართულები იყვნენ აგრეთვე მეძუძური დედებიც, რადგან აღნიშნული დაავადება მშობიარობის შემდეგაც ბევრს აწუხებს. „იმედის კლინიკაში“ ჩატარებული კლინიკური კვლევების საფუძველზე ვასკვნით, რომ „კამელინის“ სანთლები ორსულებსა და მელოგინეებში ვაგინალური და პროქტოლოგიური გამოყენებისათვის შესანიშნავია. „კამელინ მ 4“ არის სრულიად უსაფრთხო პრეპარატი ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე - მას გააჩია ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო ეფექტი, აჩქარებს რეგენერაციის პროცესებს, აძლიერებს იმუნომოდულაციისა და რეპარაციულ პროცესებს. შესანიშნავი ანტი ბაქტერიული,ანტივირუსული,ანტისოკოვანი და ანტიკანცეროგენული თვისებებით ხასი-




ათდება და სწრაფ შედეგს იძლევა ვაგინალური ინფექციების, მათ შორის ბაქტერიული, ვირუსული, სოკოვანი გენეზის, საშვილოსნოს ყელის ეროზიების და ანთებითი დაავადებების, პროქტიტების, ბუასილის შემთხვევაში.

**„კამელინის“ ვაგინალურ-რექტალურ სანთლებზე კლინიკური კვლევები ბათუმის სამშობიარო სახლშიც ჩატარდა სხვადასხვა კლინიკურ დიაგნოზებზე. კვლევის პროცესი მოიცავდა არა მარტო პაციენტის სუბიექტური ჩივილების, არამედ კლინიკური სურათის ობიექტურ შესწავლასაც. ტარდებოდა კოლპოსკოპიური და ციტოლოგიური გამოკვლევები, ანალიზები ვასერმანსა და შიდსზეც. „კამელინის“ სანთლებით ყველა შემთხვევაში (საშვილოსნოს ყელის ეროზია, სოკოვანი პოლპიტი, ცერვიციტი და ლეიკოპლაკია, პოსტტრავმული ეხოტოპია, ვირუსული პაპილომის სუბკლინიკური ფორმა) დაფიქსირდა დაავადების დადებითი დინამიკა. აღსანიშნავია ისიც, რომ საშვილოსნოს მწვავე ანთების დროს „კამელინ მ 4“-მა ანთებითი პროცესი მალე ჩააწყნარა და რიგ შემთხვევაში საერთოდ აალაგა.**

მოამზადა
მაია ცომაიამ

„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა,
დარეკეთ: 2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი);
2-45-33-68; 2-22-26-68; 2-75-04-08; 599 33 10 89;
599 58 09 07; 577 73 56 51; 599 23 03 33;
www.Camelyn.ge